

## ოქმი N 7-8

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის, აგრარულ საკითხთა და ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიების ერთობლივი სხდომის  
ქ. ოზურგეთი 2019 წელი, 8 აპრილი  
14<sup>00</sup> -15<sup>00</sup>საათი

**თავმჯდომარეობდნენ:** ლ. ბიგვავა, გ. კილაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეები.

**ესწრებოდნენ:** კომისიათა წევრები -თ. ტულუში, ვლ. ჩავლეშვილი, ბ. დოლიძე, მ. ჩხიკვიშვილი, დ. ჭაკნელიძე, ტ. აროშიძე, ლ. კილაძე, ნ. ორაგველიძე, რ. სკამკოჩაიშვილი, ვლ. ღლონტი, ჯ. თავართქილაძე, ვ. ჩხაიძე, ვ. ნიჭარაძე, დ. მჟავანაძე, ე. გორდელაძე, ლ. საჯაია, ლ. გელაძე, ხ. ცერცვაძე.

სხდომის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

**დღის წესრიგი**

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ“ -

**მომხს:** ლ.ბიგვავა, გ.კილაძე.

2. შ.პ.ს „ასკანგელ-ალიანსი“-ს დირექტორის მოადგილის თ.შარაშიძის განცხადების შესახებ.

**მომხს:** ლ.ბიგვავა

3. გურიის სამხარეო ადმინისტრაციიდან შემოსული კორესპოდენციის შესახებ.

**მომხს:** გ.კილაძე

მომხსენებელმა კომისიათა წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ძირითადი პარამეტრები, აღნიშნა აგარიშის განხილვის მნიშვნელობაზე, ხაზი გაუსვა, რომ მისი შემოტანის ვადა დაირღვა, კარგია, რომ ბიუჯეტი გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 6,7%. ყველა ძირითადი

პარამეტრი შესრულებულია, არის შეუსრულებელიც - მაგალითად მუნიციპალური ქონების გაყიდვიდან, ასევე კარგია, რომ მთლიანი ბიუჯეტის 5,4% გახარჯულია ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. სარეზერვო ფონდი 99% ათვისებულია, მაგრამ შენიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ მისი 85% გახარჯულია სოციალური კუთხით. აღსანიშნავია ასევე, რომ მუნიციპალიტეტის ერთ სულ მოსახლეზე დახარჯულია 500 ლარი - გაცილებით მეტი ვიდრე წინა წელში. ცუდია, რომ ანგარიშში ჯეროვნად არ არის გაანალიზირებული ბიუჯეტის ცალკეული პროგრამების შესრულების შეფასებები და მათი შედეგები, მოსახლეობის კმაყოფილების დონე. შენიშვნას იმსახურებს ისიც, რომ მშენებლობის მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელმა შეადგინა გეგმიურის მხოლოდ 50%, რაც მიუთითებს ზოგადად მუნიციპალიტეტში ფინანსური აქტივობების შემცირებაზე.

კომისიებმა გადაწყვიტეს, რომ არსებული შენიშვნები იძლევა იმის საშუალებას, რომ ანგარიში წარდგენილ იქნას საკრებულოს მომდევნო სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

კომისიათა წვრებმა მოისმინეს შ.პ.ს „ასკანგელ-ალიანსი“-ს დირექტორის მოადგილის თ. შარაშიძის განცხადების შესახებ, სადაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბეტონიტური თიხის მომპოვებელ ორ კომპანიას - ფრანგულ „ბეტონიტჯორჯია“-ს და შ.პ.ს „ასკანგელ-ალიანსს“ შორის საბადოდან თიხის ტრანსპორტირებისათვის ფრანგული კომპანიის საკუთრებაში არსებული ხიდის გამოყენებაში არსებულ პრობლემას ეხება, კერძოდ ხიდი ავარიულია, ფრანგული კომპანია ბეტონის ბლოკებით კეტავს, შ.პ.ს „ასკანგელ-ალიანსი“ კი იღებს და ხიდის ექსპლოატაციას აგრძელებს. კომისიებმა აღნიშნეს, რომ მართალია დავის გადაწყვეტა სასამართლოს ქვემდებარეა, მაგრამ მუნიციპალიტეტის საკრებულო მოსახლეობის ინტერესიდან გამომდინარე მზადაა იკისროს შუამდგომლობა, რათა მხარეებმა ურთიერთმოლაპარაკებისა და ინტერესების შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ პრობლემა, რის თაობაზეც ეცნობება ორთავე მხარეს.

კომისიათა წევრები გაეცნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სილაურისა და ნასაკირალის ადმინისტრაციულ ერთეულებში ქვიშა-ხრემის მოპოვების თაობაზე მხარის ადმინისტრაციიდან შემოსულ სსკ წიაღის ეროვნული სააგენტოდან ლიცენზიის გაცემის თაობაზე წერილს, აღინიშნა, რომ მოსახლეობა კატეგორიულად წინააღმდეგია მათ ტერიტორიაზე კარიერის გახსნის. რის შესახებაც ეცნობება სამხარეო ადმინისტრაციას.

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :**

1. დამტკიცდეს კომისიების მიერ მომზადებული დასკვნა (თან ერთვის) სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული N1 საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს მომდევნო სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. საკრებულოს მიერ კომპანიებს შორის შუამდგომლობის თაობაზე წერილობით ეცნობოს ერთავე მხარეს.

3. სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს მომართვების თაობაზე სოფელ სილაურისა და დაბა ნასაკირალის მოსახლეობასთან შეხვედრების შედეგების თაობაზე ეცნობოს გურიის სამხარეო ადმინისტრაციას.


ლავრენტი ბიგვავა



კომისიის თავმჯდომარე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

გოჩა კილაძე



კომისიის თავმჯდომარე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია